



MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ყოველწლიური ანგარიში

2022

მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ყოველწლიური ანგარიში

2022

აღმასრულებელი დირექტორის წერილი

ძვირფასო მეგობრებო,

2022 წელი ჩვენი ორგანიზაციისთვის განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა, ვინაიდან უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან ერთად კრემლის საინფორმაციო ომმა კიდევ უფრო მძაფრი სახე მიიღო. გასულ წელს ჩვენ „მითების დეტექტორის“ რუსულენოვანი ჩანართი განვავითარეთ და შევუერთდით Meta-ს ინიციატივას, რათა საომარი მოქმედებების საპასუხოდ, ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს გარდა საზიანო ინფორმაცია რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსშიც გამოგვევლინა.

უცხო ქვეყნის საინფორმაციო ოპერაციებთან ერთად ჩვენ ადგილობრივი აქტორების დეზინფორმაციულ კამპანიებს და კოორდინირებულ არაავთენტურ ქცევასაც ვსწავლობდით, რათა საზოგადოების უკეთ ინფორმირებისთვის შეგვეწყო ხელი.

ჩვენი ორგანიზაცია პირველი იყო, ვინც საქართველოში გენდერული დეზინფორმაციის კვლევა და ამ თემებზე სასწავლო რესურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება დაიწყო.

მოხარული ვართ, რომ გაეროს ბავშვთა ფონდთან ერთად გასულ წელს მთელი საქართველო მოვიარეთ და 900-მდე სკოლის მოსწავლე ინფოდემიის იდენტიფიცირებასა და ყალბი ინფორმაციის გადამოწმების პრაქტიკულ უნარებში გადავამზა-

დეთ. სკოლის მოსწავლეებთან მუშაობის გარდა, მედიაწიგნიერების პროგრამების განვითარებაზე სკოლებში მასწავლებლებთან, უმაღლეს სასწავლებელში კი მომავალ პედაგოგებთან ერთად ვმუშაობდით.

დოიჩე ველე აკადემიასთან ერთად მედიაწიგნიერების პროგრამების მეშვეობით ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების განვითარება კვლავ ჩვენ პრიორიტეტულ მიმართულებად რჩებოდა და პროექტის წარმატების გათვალისწინებით 2023 წლისთვის მისი რეგიონულ ფორმატში ტრანსფორმაციაც კი დავგეგმეთ.

სირთულეების მიუხედავად, 2022 წელი ჩვენთვის წარმატებულიც იყო. პირველ რიგში ბევრი ახალი კარგი თანამშრომელი შევიძინეთ, რომლებიც ჩვენთან ერთად თქვენთვის ხარისხიან საინფორმაციო, კვლევით და საგანმანათლებლო მასალებს ქმნიან. ჩვენ საერთაშორისო წარმატებაც მოვიპოვეთ და ოსლოში გამართულ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის (IFCN) ყოველწლიურ #GlobalFact9-ზე „ყველაზე კრეატიული ფორმატის“ გამარჯვებული გავხდით. ჩვენს საქმიანობას გასულ წელს საერთაშორისო მედიაც ფართოდ აშუქებდა.

მადლობას ვუხდით ყველას, ვინც 2022 წელს ჩვენს პროექტებსა თუ აქტივობებში სხვადასხვა ფორმით იყო ჩართული, ასევე ჩვენს პარტნიორებსა და დონორ ორგანიზაციებს, ვინც არაერთი კარგი იდეის განხორციელების შესაძლებლობა მოგვცა. სტუდენტებთან ერთად, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობას პროგრამის დასრულების შემდეგაც აგრძელებენ, მადლიერი ვართ იმ მკითხველის, რომელიც დეზინფორმაციის გამოვლენის მიზნით ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს, რადგან საინფორმაციო სივრცის დაცვა და მედია ეკოსისტემის გაჯანსაღება მედეგი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და აქ ყველა მოქალაქეს განსაკუთრებული როლი გვაკისრია.

თამარ კინწურაშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

სარჩევი

05 ვინ ვართ ჩვენ

05 პროგრამული მიმართულებები

07 MDF რიცხვებში

08 HIGHLIGHTS

10 I. კვლევები

11 1. ფაქტების გადამოწმების პროგრამა

11 1.1. „მითების დეტექტორის“ თანამშრომლობა Facebook-თან

12 1.2. 18 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე!

12 1.3. მითების დეტექტორი IFCN-ში

13 2. კოორდინირებული არაავთენტური ქცევა (CIB) და დისკრედიტაციის კამპანიები

13 3. გენდერული დეზინფორმაცია

15 4. კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი – აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიაში

15 5. რუსეთის ინფორმაციული ომი – 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან

16 6. ძალადობრივი ჯგუფების ანატომია – 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან

16 7. რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა – 2021

29 III. ადვოკაცირების და ჟურნალისტური პროგრამები

32 IV. საერთაშორისო თანამშრომლობა

17 II. მედია დაინფორმაციული წიგნიერება

17 1. მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის აღქმების კვლევა

18 2. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

18 2.1. მითების დეტექტორის ლაბორატორია

20 2.2. „გაზომე სიმართლე!“ რეგიონული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის

21 2.3. „ნუ დაინფიცირდები დეზინფორმაციით!“ – ტრენინგების სერია პანდემიასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციაზე

22 3. მედიაწიგნიერების პროგრამები პედაგოგებისთვის და მშობლებისთვის

22 3.1. UNICEF-ის და USAID-ის პროექტი პედაგოგებისა და მშობლებისთვის

23 3.2. მედიაწიგნიერი სკოლები – მედეგი საზოგადოებისთვის

24 3.3. მასწავლებელთა მომზადების პროგრამა ილიას უნივერსიტეტში

24 4. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა

24 5. მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება

24 5.1. მედიაწიგნიერების ფორუმი 2022

27 5.2. ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა 2022

28 5.3. საინფორმაციო კამპანიები

36 V. დონორები და პარტნიორები 2022

37 VI. ბიუჯეტი

39 VII. სამოგავლო გეგმები

ჩვენ შესახებ

მედიის განვითარების ფონდი (MDF) მედიის კვლევების და კომუნიკაციის მიმართულებით წამყვანი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც სპეციალიზებულია უცხო ქვეყნის საინფორმაციო გავლენებისა და შიდა პროპაგანდის კვლევაში, ყალბი ამბების იდენტიფიცირებასა და გადამოწმებაში. MDF, რომელსაც კარგად განვითარებული მედიაწიგნიერების პროგრამები და გამოცდილი ფაქტების ანალიტიკოსები ჰყავს, მიზნად ისახავს მედიის მომხმარებელთა შორის კრიტიკული აზროვნების განვითარებას და ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის მნიშვნელობაზე ცნობიერების ამაღლებას. მედიის განვითარების ფონდი ხელს უწყობს ხარისხიან ჟურნალისტიკას და მედიის პროფესიულ განვითარებას სასწავლო რესურსების შექმნის, პროფესიული ტრენინგებისა და მედიის თვითრეგულირების გაძლიერების გზით.

ჩვენი მისია

მედიის განვითარების ფონდის მიზანია ხელი შეუწყოს:

- ადამიანის ფუნდამენტური უფლებების და თავისუფლებების დაცვას; ღია, ინკლუზიური და პლურალისტური საზოგადოების ჩამოყალიბებას;
- სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის უზრუნველყოფით, საზიანო ინფორმაციის იდენტიფიცირებითა და წყაროების გამჭვირვალობის უზრუნველყოფით დემოკრატიულ საზოგადოებაში ინფორმირებული არჩევანის გაკეთებას,
- ახალ მედია ეკოსისტემაში კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას და მედიის გაცნობიერებული მოხმარების გზით მოქალაქეების მედეგობის გაზრდას.
- მედიის პროფესიულ და ინსტიტუციურ განვითარებას; მედიის ანგარიშვალდებულების სისტემების, თვითრეგულირების მექანიზმების დამკვიდრებას.

პროგრამული მიმართულებები

მედიის განვითარების ფონდის საგანმანათლებლო, კვლევითი და ადვოკატირების მიმართულებები შემდეგ აქტივობებს მოიცავს:

- **საგანმანათლებლო:** მედიაწიგნიერება, ჟურნალისტთა პროფესიული განვითარება, აკადემიასთან და პედაგოგებთან თანამშრომლობა ტრენინგებისა და სასწავლო რესურსებით აღჭურვის გზით.
- **კვლევითი:** ფაქტების გადამოწმება, სიძულვილის ენის და ანტიდასავლური განწყობების კვლევა, მავნე აქტორების შესწავლა, სოციალურ ქსელში კოორდინირებული არაავთენტური ქმედებების (CIB) კვლევა, მედიის ფინანსური გამჭვირვალობის შესწავლა.
- **ადვოკატირება:** ჟურნალისტთა და მედიის მომხმარებელთა უფლებების, პოლიტიკის საკითხების ადვოკატირება.

ჩვენი გუნდი

მედიის განვითარების ფონდს ჰყავს:

32 თანამშრომელი

5 კონსულტანტი

და

13 მოხალისე

გამგეობის წევრები

- **თამარ კინწურაშვილი**
  აღმასრულებელი დირექტორი
- **თამარ ხორბალაძე**
  გამგეობის თავმჯდომარე
- **ქეთევან მსხილაძე**
  გამგეობის წევრი, გენდერული პროგრამების დირექტორი
- **თამარ შამილი**
  გამგეობის წევრი
- **მიგა ზედანია**
  გამგეობის წევრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- **ბექა მინდიაშვილი**
  გამგეობის წევრი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი
- **ლევან გიორგაძე**
  გამგეობის წევრი

დეტალური ინფორმაცია თანამშრომლების შესახებ ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე.

2022 წელს ჩვენ

80 ჩავატარეთ **ტრენინგი**

დავატრენინგეთ **1,640** ადამიანი:

1,165 **ახალგაზრდა**

317 **მასწავლებელი**

140 **მშობელი**

18 **ჟურნალისტი**

3 „მითების დეტექტორს“ რუსული ენა დაემატა და ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში დამატებით **ქვეყანა დაფარა**

770 „მითების დეტექტორისთვის“ მოვამზადეთ **სტატია**

5 გამოვეცით **ჰუბლიკაცია**

11 მონაწილეობა მივიღეთ **საერთაშორისო ღონისძიებაში**

1,5 **მლნ** „მითების დეტექტორის“ ვებ-გვერდს **ვიზიტორი ჰყავდა**

ხილვადობა სოციალურ ქსელში

1,9 **მლნ** MDF-ის FACEBOOK გვერდი **მკითხველს მიწვდა**

6,9 **მლნ** „მითების დეტექტორის“ FACEBOOK გვერდი **მკითხველს მიწვდა**

1,4 **მლნ** „მითების დეტექტორის“ TWITTER გვერდი **მკითხველს მიწვდა**

10 წარმატებით განვახორციელეთ **პროექტი**, ხოლო სერვისებს უზრუნველვყოფდით კომპანია META-სა და EUROPEAN SERVICE NETWORK-ისთვის

2022 HIGHLIGHTS



POYNTER: „მითების დეტექტორმა“ ინფორმაციის გადამოწმება რუსულ ენაზეც დაიწყო

მედიის განვითარების ფონდის ფაქტების გადამოწმების პლატფორმა მითების დეტექტორმა რუსულ ენაზეც დაიწყო ოპერირება. ამ სიახლემ პლატფორმას საშუალება მისცა, გაეძლიერებინა ძალისხმევა უცხოური გავლენის ოპერაციებისა და კრემლის პროპაგანდის გამოვლენის კუთხით. ფეისბუქის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში, მითების დეტექტორი გამოვლენილი დეზინფორმაციის მონიშვნასაც ახდენს, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მის როლს, ყალბ ინფორმაციასთან ბრძოლის საკითხში.

2022 წელს „მითების დეტექტორმა“ რუსულ ენაზე 299 მასალა მოამზადა, აქედან 133 რუსეთ-უკრაინის ომის თემას ეხებოდა.

მედიის განვითარების ფონდმა გენდერულ დეზინფორმაციის კვლევა დაიწყო

მედიის განვითარების ფონდი პირველი იყო, ვინც 2022 წელს საქართველოში გენდერული დეზინფორმაციის და იმ მთავარი აქტორების შესწავლა დაიწყო, რომლებიც იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებს პოლიტიკური ინტერესებისთვის იყენებენ და ამ თემებზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირებას ცდილობენ.

MDF საერთაშორისო პრესაში

2022 წელს მედიის განვითარების ფონდის საქმიანობასა და ფაქტების გადამოწმებისა და მედიაწიგნიერების პროგრამებზე არაერთი საერთაშორისო გამოცემა – The Washington Post, France 24, Deutsche Welle, Poynter, Al Jazeera, The Insider – წერდა.

#GLOBALFACT9-ის ჯილდო „ყველაზე კრეატიული ფორმატისთვის“ „მითების დეტექტორს“ გადაეცა

2022 წელს „მითების დეტექტორი“ ოსლოში გამართულ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის (IFCN) ყოველწლიურ #GlobalFact9-ზე „ყველაზე კრეატიული ფორმატის“ გამარჯვებული გახდა და სპეციალური ჯილდო გადაეცა. აღნიშნული ჯილდო ორგანიზაციამ მედიაწიგნიერების **კლიპისთვის** მოიპოვა, რომელიც ცრუ მკურნალობის წინააღმდეგაა მიმართული და მობილური აპლიკაციით ფოტოს გადამოწმების ხერხებს გვასწავლის. საერთაშორისო კონფერენციაში 2022 წელს ოსლოში 600-ზე მეტი ფაქტების ანალიტიკოსი მონაწილეობდა.

ნუ დაინფიცირდები დეზინფორმაციით! – ინფოდემიასთან ბრძოლა მედიაწიგნიერებით

2022 წელს MDF-მა გაეროს ბავშვთა ფონთან (UNICEF) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) პარტნიორობით მედიაწიგნიერების კამპანია „ნუ დაინფიცირდები დეზინფორმაციით!“ წამოიწყო. კამპანიის ფარგლებში 8 თვეში 30 ქალაქსა თუ სოფელს ვეწვიეთ და 888 სკოლის მოსწავლე მედიაწიგნიერების უნარებით აღვჭურვეთ, 118 პედაგოგი მედიაწიგნიერების სწავლებაში მოვამზადეთ, ხოლო 140 მშობელს კი ახალ მედია ეკოსისტემაში მოზარდების უსაფრთხო ნავიგაციის მნიშვნელობასა და ამ პროცესში მათ როლზე ვესაუბრეთ.

I. კვლევები

მედიის განვითარების ფონდი მანიპულაციურ მედია შინაარსს რამდენიმე მიმართულებით სწავლობს:

1. **უცხო ქვეყნის საინფორმაციო გავლენები** (რუსეთის სამთავრობო მედიის პირდაპირი პროპაგანდა და ირიბი ანტიდასავლური პროპაგანდა);
2. **შიდა პოლიტიკური პროპაგანდა** (სოციალურ მედიაში პოლიტიკური მიზნებით ტროლების და ყალბი გვერდების გამოყენება);
3. **ეკონომიკური მიზნით ყალბი ინფორმაციის გავრცელება** (click bite საიტები).

უცხო ქვეყნების საინფორმაციო გავლენის და ცალკეული ადგილობრივი აქტორების დეზინფორმაციული აქტივობების გამოვლენისას მედიის განვითარების ფონდი 4 საფეხურიან მიდგომას იყენებს, რომელიც შემდგომ კომპონენტებს მოიცავს:

1. **იდენტიფიცირება.** მედია მონიტორინგი ანტიდასავლური გზავნილების და მათი წყაროების, ნარატივების ფორმირების შესწავლის მიზნით ხორციელდება და ფართო კონტექსტის აღქმის შესაძლებლობას იძლევა. ამასთანავე მონიტორინგის შედეგად ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის გამოვლენა ხდება.
2. **დეკონსტრუირება.** ყალბი ან მანიპულაციური შინაარსის გადამოწმება და რეალური ფაქტების დადგენა ღია წყაროების და გამჭვირვალე მეთოდოლოგიის მეშვეობით ხორციელდება.
3. **წყაროების გამჭვირვალობის შესწავლა.** წყაროების გამჭვირვალობა როგორც მედიის ფორმალური თუ ფარული მფლობელის დადგენას, დაფინანსების გამჭვირვალობის შესწავლას, ასევე ინფორმაციის წყაროების სანდოობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებას გულისხმობს.
4. **განმარტება.** აუდიტორიის ინფორმირება, თუ პროპაგანდის რა მეთოდებს და ტექნიკებს იყენებს დაინტერესებული მხარე ყალბი ინფორმაციის განზრახ გავრცელებისას, რომლის მიზანი საზოგადოებისთვის ზიანის მიყენებაა. მედიაწიგნიერების გზით საზოგადოების მედეგობის გაზრდა, ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირების და გაფილტვრის შესაძლებლობას ზრდის და საბოლოოდ მოქალაქეებს ნაკლებად მოწყვლადს ხდის.

1. ფაქტების გადამოწმების პროგრამა

2022 წელს მედიის განვითარების ფონდის ფაქტების გადამოწმების პორტალ „მითების დეტექტორს“ (www.mythdetector.ge) რუსულენოვანი ჩანართი დაემატა. გამოცემამ ამ პერიოდში 770 განმარტებითი სტატია მოამზადა, საიდანაც ყველაზე მეტი მასალა (383 სტატია) **რუსეთ-უკრაინის ომის** თემას დაეთმო.

1.1. „მითების დეტექტორის“ ფაქტების გადამოწმების პროგრამა რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსში

ფეისბუქის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში „მითების დეტექტორმა“ 2022 წელს კომპანია Meta-სთან თავისი პარტნიორობის არეალი გააფართოვა და საქართველოს გარდა ყალბ ინფორმაციას რუსეთში, უკრაინასა და ბელორუსშიც ამოწმებს. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შემდეგ „მითების დეტექტორს“ რუსულენოვანი ჩანართი დაემატა, რომელმაც 299 მასალა მოამზადა, აქედან 133 რუსეთ-უკრაინის ომის თემაზე. „მითების დეტექტორი“ ფეისბუქზე გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტეს სწავლობს და აფასებს, რაც ახალი ამბების ავთენტურობის დადგენასა და მათი ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება. „მითების დეტექტორი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზეა ხელმისაწვდომი, გასულ წლებში კი აზერბაიჯანულენოვან და სომხურენოვან ენებზეც ითარგმნებოდა.

1.2. 18 ჩასწორებული მასალა და ანგარიშვალდებულება აუდიტორიის წინაშე!

Facebook-ის ფაქტების გადამოწმების პროგრამა სოციალური ქსელების მომხმარებელთა პასუხისმგებლობის გაზრდას და აუდიტორიის წინაშე ანგარიშვალდებულებას უწყობს ხელს. „მითების დეტექტორის“ მიერ შეფასებული მცდარი ინფორმაციის თანაზომადი ფორმით ჩასწორების შემთხვევაში, პოსტის შეფასების გადახედვა და მონიშვნის გაუქმება ხდება.

2022 წელს „მითების დეტექტორის“ მიერ ფეისბუქის პოსტების შეფასების შემდეგ, 18 შემთხვევაში გავრცელებული ინფორმაციის ავტორებმა პირველადი პოსტების ჩასწორება და აუდიტორიის თანაზომადი ფორმით ინფორმირება მოახდინა.

თანაზომადი ფორმით შესწორება გულისხმობს დაშვებული შეცდომის შესახებ მკითხველის მკაფიოდ ინფორმირებას, ცვლილებების იმავე ბმულზე შეტანის გზით, რომელზეც საწყისი სადავო შინაარსი გავრცელდა.

აღნიშნული მექანიზმი დაშვებული შეცდომის გამოსწორების გზით საზოგადოების სათანადოდ ინფორმირებას უწყობს ხელს და როგორც ტრადიციულ მედიას, ასევე ფეისბუკის ინდივიდუალურ მომხმარებელს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულს ხდის.

1.3. მითების დეტექტორი IFCN-ში

2019 წლიდან „მითების დეტექტორი“ პოინტერის ინსტიტუტის ფაქტების გადამოწმების საერთაშორისო ქსელის წევრია.

> „მითების დეტექტორი IFCN-ის დიდი ხნის ხელმომწერია, რედაქციის მუშაობა პროფესიულ სტანდარტებს ეფუძნება და საზოგადოების ინტერესებს ემსახურება. სარედაქციო გუნდი აუდიტორიას უწევს საფუძვლიან, მნიშვნელოვან და ღირებულ მომსახურებას, ამოწმებს მტკიცებებს, ავლენს დეზინფორმაციას და პროპაგანდას ონლაინ და სოციალურ მედიაში და ავრცელებს შინაარსს ხუთ ენაზე“. – აღნიშნულია IFCN-ის შეფასებაში.

„მითების დეტექტორის“ საქმიანობას, მათ შორის ფაქტების გადამოწმების ორგანიზაციებზე განხორციელებულ ზეწოლას, პოინტერის ინსტიტუტი 2022 წელსაც აშუქებდა:

1. Myth Detector adds Russian language to its long language repertoire list
2. In Georgia, fact-checkers have become targets of the ruling party

2. კოორდინირებული არაავთენტური ქცევაა (CIB) და დისკრედიტაციის კამპანიები

„მითების დეტექტორმა“ 2022 წელს 12 დისკრედიტაციის კამპანია და ფეისბუქზე 60 ყალბი ანგარიში გამოავლინდა. კოორდინირებული კამპანიების მთავარი სამიზნეები იყვნენ პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**, **მთავარი არხის დირექტორი ნიკა გვარამია**, **აშშ-ის ელჩი საქართველოში**, **უკრაინის მთავრობა**, **საქართველოს მესამე პრეზიდენტი**, **TBC ბანკის დამფუძნებლები** და სხვა.

3. გენდერული დეზინფორმაცია

მედიის განვითარების ფონდი პირველი ორგანიზაცია იყო, რომელმაც 2022 წელს საქართველოში გენდერული დეზინფორმაცია შეისწავლა და კვლევა 2023 წელს **გამოსცა**. როგორც კვლევამ აჩვენა, გენდერული დეზინფორმაციის გავრცელების შემთხვევები როგორც ქალების, ასევე ლგბტქი თემის წევრის წინააღმდეგ იყო მიმართული და პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით გამოიყენებოდა.

კვლევამ უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირებისა და ჩარევის (FIMI) შემთხვევაც გამოავლინა, რომელიც უკრაინის ომთან მიმართებით როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, ბელორუსსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კოორდინირებულად გავრცელდა და მიზნად ომიდან ყურადღების იდენტობის საკითხებზე გადატანას ისახავდა.

ინფოგრაფიკა 1. ინფორმაციული ქაოსის ფაზები
და ყალბი ინფორმაციის გავრცელების მედია ეკოსისტემა

4. კონფლიქტების გაშუქების მონიტორინგი – აზერბაიჯანულენოვან, სომხურენოვან რეგიონულ და სხვა მედიაში

კვლევა კონფლიქტების გაშუქებას შეეხება და სპეციფიკურად რეგიონული აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი პლატფორმების მონიტორინგის შედეგებს ეყრდნობა. კვლევა ასევე მოიცავს რუსულენოვან და ქართულენოვან სპეციფიკურ ფეისბუკ ანგარიშებზე კონფლიქტებთან მიმართებით გამოვლენილ თვისებრივ მონაცემებს. ანგარიში, რომელიც ინტერნნიუსის კონფლიქტების გაშუქების ადაპტირებული ვერსიით განხორციელდა, მიზნად ისახავდა შეესწავლა, თუ რამდენად არის დაცული კონფლიქტების გაშუქების დროს პროფესიული სტანდარტები, ვრცელდება თუ არა ამ თემაზე დეზინფორმაცია და ხდება თუ არა სიძულვილის ენის წახალისება.

5. რუსეთის ინფორმაციული ომი – 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან

MDF ორი თვის განმავლობაში, 24 თებერვლიდან 24 აპრილის ჩათვლით რუსულ, ბელარუსულ, უკრაინულ და ქართულ სოციალურ მედიას აკვირდებოდა და იმ ძირითადი გზავნილებისა და ყალბი ცნობების ტიპოლოგია გამოავლინა, რომელთაც როგორც რუსული, ასევე ქართული, ბელარუსული და უკრაინული წყაროები ავრცელებდნენ. **ანგარიში** დეზინფორმაციულ გზავნილებთან ერთად რუსეთის საინფორმაციო ოპერაციების კომუნიკაციის არხებსა და მათი მოქმედების ტაქტიკას მიმოიხილავს.

6. ძალადობრივი ჯგუფების ანატომია- 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან

ანგარიშში შესწავლილია ის ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებრივ ასპარეზზე ყველაზე მკაფიოდ 2021 წლის 5 ივლისს, თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში ძალადობრივი პროტესტის და ჟურნალისტებზე ორგანიზებული ძალადობის შედეგად გამოჩნდნენ. ანგარიშის პირველი ნაწილი აქციის მონაწილეთა პროფილებს ეთმობა, მეორე ნაწილი კი პოლიტიკურ პარტიად გარდაქმნილ ალტ-ინფოს, რომელიც ასპარეზზე ქვეყნის პროდასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლის და რუსეთთან ურთიერთობების მოგვარების, მათ შორის სამხედრო თანამშრომლობის გზით, დღის წესრიგით შემოვიდა და რომელიც აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო.

7. რეკლამისა და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო თანხების განაწილების პრაქტიკა – 2021

კვლევა, რომელიც 2022 წელს გამოქვეყნდა, ინფორმაციისა და რეკლამის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო სახსრების განაწილების 2021 წლის პრაქტიკას ასახავს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საჯარო მონაცემებს, ასევე გარკვეულ შემთხვევებში საჯარო უწყებებიდან დამატებით გამოთხოვილ ინფორმაციას ეფუძნება. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი სარედაქციო პოლიტიკის მედიებთან ფორმდება კონტრაქტები, მასში მედია გაშუქების ცალკეული მაგალითებიც არის განხილული.

II. მედია და ინფორმაციული წიგნიერება (MIL)

2022 მედიის განვითარების ფონდმა მედია და ინფორმაციული წიგნიერების მიმართულებით შემდეგი აქტივობები განახორციელა:

1. კვლევა
2. ტრენინგები
3. საგანმანათლებლო რესურსების შექმნა
4. მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება.

მედიაწიგნიერების პროგრამას 2022 წელსაც განსხვავებული სამიზნე ჯგუფები ჰყავდა:

1. ახალგაზრდები;
2. სკოლის პედაგოგები და პედაგოგთა მომზადების პროგრამის სტუდენტები;
3. მშობლები.

1. მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის აღქმების კვლევა

იმის შესასწავლად, თუ როგორია მედიის მოხმარების ჩვევები და რამდენად მოწყვლადია საზოგადოება სხვადასხვა დეზინფორმაციის მიმართ, მედიის განვითარების ფონდმა 2022 წელს „მედიაწიგნიერების და დეზინფორმაციის აღქმების კვლევა“ ჩაატარა. კვლევა საქართველოს 7 ქალაქში – ახალქალაქი, ბათუმი, გარდაბანი, ზუგდიდი, თბილისი, თელავი და ქუთაისი – სექტემბერში ჩატარდა, რა დროსაც პირისპირ ინტერვიუს ფორმით 140 რესპონდენტი გამოიკითხა.

კვლევამ შეისწავლა, თუ რამდენად ხშირად ამოწმებენ მოქალაქეები სოციალური მედიის ინფორმაციას, რამდენად იცნობენ ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამას, ასევე რამდენად სარწმუნოდ მიიჩ-

ნევენ უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციასთან და საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებულ ყალბ ამბებსა და მანიპულაციურ ნარატივებს.

2. მედიაწიგნიერების პროგრამები ახალგაზრდებისთვის

2022 წელს მედიის განვითარების ფონდმა ახალგაზრდებისთვის მედიაწიგნიერების 3 პროგრამა განახორციელა:

1. „მითების დეტექტორის ლაბორატორია“ – ინტენსიური 3,5 თვიანი საკვირაო კურსი ახალგაზრდებისთვის;
2. „გაზომე სიმართლე!“ რეგიონული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის;
3. „ნუ დაინფიცირდები დეზინფორმაციით!“ – ტრენინგების სერია პანდემიასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციაზე.

2.1. მითების დეტექტორის ლაბორატორია

„მითების დეტექტორის ლაბორატორია“ ფაქტების გადამოწმების პორტალის www.mythdetector.ge-ს ბაზაზე 2017 წელს დოიჩე ველე აკადემიასთან პარტნიორობით დაფუძნდა. ლაბორატორია უკვე მეექვსე წელია წარმატებით ახორციელებს პროექტს, რომლის ფარგლებშიც მედიაწიგნიერების კურსი უკვე 224-მა ახალგაზრდამ გაიარა. 2022 წელს პროგრამას 2 გამოშვება და 44 კურსდამთავრებული ჰყავდა.

კურსი აქტიური სწავლების მეთოდით ხორციელდება და მისი მიზანია ახალგაზრდებს კრიტიკული აზროვნების და OSINT-ის მეშვეობით ყალბი ინფორმაციის/ვიზუალის გადამოწმების უნარები განუვითაროს. კურსი „მითების დეტექტორის“ რედაქციაში სტაჟირებასაც ითვალისწინებს. სტაჟირების ფარგლებში 2017-2022 წლებში სტუდენტებმა 539 მასალა მოამზადეს, მათი ნაწილი EUvsDisinfo-ს და პოინტერის ინსტიტუტის და კორონავირუსის ფაქტების ალიანსის პლატფორმებზეც გამოქვეყნდა.

სტუდენტების მიერ მომზადებული მასალები შეეხებოდა ისეთ თემებს, როგორიცაა რუსეთ-უკრაინის ომი, პანდემია, არჩევნები, მიგრანტები და სხვა.

წარმატების ისტორიები. „მითების დეტექტორის“ წარმატების ერთ-ერთი ინდიკატორი, პროგრამის დასრულების შემდეგ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაა. კურსდამთავრებულთა ნაწილი „მითების დეტექტორშია“ დასაქმებული, ნაწილი კონტრიბუტორის სახით აგრძელებს „მითების დეტექტორთან“ თანამშრომლობას, ნაწილი კი მიღებულ გამოცდილებას სხვა ორგანიზაციებში კვლევით და მედიაწიგნიერების პროგრამებში იყენებს.

გიორგი მინაშვილი

მითლაბის 2022 წ. კურსდამთავრებული, მითების დეტექტორის კონტრიბუტორი, მკვლევარი 2023 წლიდან

„მითების დეტექტორის ლაბორატორიამ დამანახა, რამდენად საინტერესო და მნიშვნელოვანია ფაქტების გადამოწმება, განსაკუთრებით მსოფლიოში, სადაც ადამიანების უმეტესობას აქვს წვდომა ინტერნეტზე. პროგრამამ მასწავლა ინფორმაციის გადამოწმების სხვადასხვა ხელსაწყოები, რომლებსაც ახლაც აქტიურად ვიყენებ, როგორც მითების დეტექტორის კონტრიბუტორი“.

თაკო ჩხარტიშვილი

მითლაბის 2020 წ. კურსდამთავრებული, მითების დეტექტორის კონტრიბუტორი

„„მითების დეტექტორმა“ მასწავლა, რამდენად მნიშვნელოვანია ფაქტები და რა ძალა აქვს ინფორმაციას, რის გამოც გადავწყვიტე პროფესიულად გავყოლოდი ამ სფეროს და შეძენილი პრაქტიკული უნარები საზოგადოების მედეგობის განმტკიცებისთვის გამომეყენებინა.

ეკატერინე ჯანიაშვილი

მითლაბის 2017 წ. კურსდამთავრებული, ISFED-ის მკვლევარი

„„მითების დეტექტორის ლაბორატორია“ იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რომელმაც გამოკვეთა ჩემი ინტერესები და საფუძველი ჩაუყარა ჩემს მომავალ პროფესიულ გზას. პროექტის მიმდინარეობისას გამოვიმუშავე ანალიტიკური უნარები და მივიღე ცოდნა იმ ხელსაწყოების შესახებ, რომელთა ნაწილს დღევანდელ საქმიანობაშიც ვიყენებ. „მითლაბის“ საშუალებით როგორც დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ჩართული, ისე, ამ სფეროთი დაინტერესებული ადამიანებიც გავიცანი.

2.2. „გაზომე სიმართლე!“ რეგიონული ტრენინგები ახალგაზრდებისთვის

აშშ-ის საელჩოს მხარდაჭერით, მედიის განვითარების ფონდი 2019 წლიდან ახორციელებს ტრენინგების სერიას „გაზომე სიმართლე!“. 2022 წელს საქართველოს 9 ქალაქში – თბილისი, ბათუმი, პანკისი, თელავი, ყვარელი, ახალციხე, მარნეული და წალენჯიხა – ჩვენ 174 ახალგაზრდა მედია და ინფორმაციულ წიგნიერებაში დავატრენინგეთ. სულ პროგრამის ფარგლებში მედიაწიგნიერების ტრენინგი ჯამში 894 ახალგაზრდამ გაიარა.

წალენჯიხაში გამართული ტრენინგის მონაწილეებს მედიაწიგნიერების მნიშვნელობაზე საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი ესაუბრა:

> „უნდა შეგეძლოთ რეალურისა და ყალბის ერთმანეთისგან გარჩევა, რაც საკმაოდ რთულია, რადგან მათ, ვისაც თქვენი დაბნევა სურთ, თავიანთი საქმე კარგად იციან. რასაც თქვენ დღეს აქ აკეთებთ, საუკეთესო პასუხია [ყალბი ინფორმაციის წინააღმდეგ]. მიყვარს ის ფაქტი, რომ თქვენი სლოგანია „ძალა ერთობაშია“. სხვა რა გჭირდებათ იმის შესახსენებლად, რომ საქართველოს სწორედ ეს აძლიერებს“. – **კელი დეგნანი**, აშშ-ის ელჩი საქართველოში.

2.3. „ნუ დაინფიცირდები დეზინფორმაციით!“ – ტრენინგების სერია პანდემიასთან დაკავშირებულ დეზინფორმაციაზე

2002 წელს მედიის განვითარების ფონდმა გაეროს ბავშვთა ფონდთან (UNICEF) პარტნიორობით და ამერიკის განვითარების საგენტოს (USAID) მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „მედიაწიგნიერებით ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერება COVID-19-ზე დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად“.

პროექტის ფარგლებში, რომელიც სკოლებში მედიაწიგნიერების უნარების განვითარებას და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას ისახავს მიზნად, MDF-მა საქართველოს 29 ქალაქსა და სოფელში 888 სკოლის მოსწავლე დაატრენინგა.

ნიკოლოზ ჩაჩიბაია

ზუგდიდი

მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე

„კარგია, რომ მედიაწიგნიერების ტრენინგის შედეგად შევძლებ „ფეიქ ნიუსი“ ნამდვილისგან გავარჩიო. მეგობრებს ვურჩევდი, რომ არასდროს დაიჯერონ ამბავი ერთი შეხედვით. ღრმად შეისწავლონ ის და სწორი ინფორმაცია გაავრცელონ“.

მარი ზაპარინი

გომი

მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე

„ფაქტების გადამოწმების ცოდნა გვჭირდება, რომ არ მოვტყუვდეთ, შემდეგ ჩვენც არ გავავრცელოთ ყალბი ინფორმაცია და სხვაც არ მოვატყუოთ. COVID-19-ის პანდემიის პერიოდში განსაკუთრებით ზიანის მომტანი შეიძლება იყოს ადამიანისთვის დეზინფორმაცია. თანატოლებს ვურჩევდი, როცა რამე ინფორმაცია შეხვდებათ, აუცილებლად შეამოწმონ რამდენად მართალია“.

მათე შანავა

წალენჯიხა

მედიაწიგნიერების ტრენინგის მონაწილე

„ერთხელ მახსოვს, ცნობილ ბლოგერზე ჭორი გავრცელდა, რომ კორონავირუსით გარდაიცვალაო, მე კი არ მიცდია ამის გადამოწმება, მაგრამ ამ ბლოგერის სხვა ვიდეოებიდან მივხვდი, რომ არ შეესაბამებოდა სიმართლეს. მაშინ მედიაწიგნიერების ტრენინგი რომ მქონოდა გავლილი, გადასამოწმებლად ბევრ ხერხს გამოვიყენებდი. ყველას ვურჩევ, გამოიყენოს ინფორმაციის გადამოწმების ხერხები და არ დაეყრდნოს ყველა იმ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება სოციალური ქსელში შეხვდეს ან ტელევიზიით მიიღოს“.

3. მედიაწიგნიერების პროგრამები პედაგოგებისთვის და მშობლებისთვის

სკოლებში მედიაწიგნიერების სწავლება მედიის განვითარების ფონდის პრიორიტეტულ მიმართულებად 2022 წელსაც რჩებოდა. ამ მიზნით რამდენიმე აქტივობა განხორციელდა:

3.1. UNICEF-ის და USAID-ის პროექტი პედაგოგებისა და მშობლებისთვის

გაეროს ბავშვთა ფონდთან პარტნიორობით და USAID-ის მხარდაჭერით განხორციელებული მედიაწიგნიერების პროექტი მოსწავლეების გარდა, პედაგოგების შესაძლებლობების გაძლიერებასაც ითვალისწინებდა. პროექტის ფარგლებში მომზადდა სილაბუსი და სასწავლო რესურსები, რაც პანდემიასთან დაკავ-

შირებულ დეზინფორმაციის იდენტიფიცირების, კრიტიკული ანალიზისა და ინფორმაციის გადამოწმების უნარებზეა გათვლილი.

პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 118 პედაგოგი დავატრენინგეთ. პედაგოგების გარდა, ამავე პროექტის ფარგლებში ვებინარები 140 მშობლისთვისაც ჩატარდა, რომელთაც მივაწოდეთ საბაზისო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეუწყონ ხელი მოზარდების ახალ მედია ეკოსისტემაში უსაფრთხო ნავიგაციას.

3.2. მედიაწიგნიერი სკოლები – მედლები საზოგადოებისთვის

ნატოს სახალხო დიპლომატიის ოფისთან და ამერიკულ ორგანიზაცია The Critical Mass-თან პარტნიორობით MDF-მა 2022 წელს პედაგოგებისთვის კიდევ ერთი პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში 199 პედაგოგმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მედია და ინფორმაციულ წიგნიერებაში გადამზადება გაიარა და აღიჭურვა სასწავლო რესურსებით, რომლებიც მათ სწავლების პროცესში დაეხმარება.

3.3. მასწავლებელთა მომზადების პროგრამა ილიას უნივერსიტეტში

2019 წლიდან მედიის განვითარების ფონდმა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დანერგა კურსი „მედიაწიგნიერების სწავლება სკოლებში“, რომელსაც პედაგოგთა მომზადების პროგრამის მონაწილეები გადიან. 2022 წელს აღნიშნული კურსი 21-მა, ხოლო პროგრამის დაწყებიდან სულ 97-მა სტუდენტმა გაიარა.

4. მედიაწიგნიერების რესურსების შექმნა

პედაგოგებისთვის საგანმანათლებლო დამხმარე რესურსების შექმნის გარდა, MDF პერიოდულად ანახლებს მედიაწიგნიერების ბაზას – www.millab.ge-ს, რომელიც მასწავლებლებსა და ტრენერებს სწავლების პროცესში ეხმარება. სხვადასხვა გზამკვლევებთან და სავარჯიშოებთან ერთად, ვებ-გვერდი დაინტერესებულ პირებს მედიაწიგნიერების ონლაინ თამაშებსაც სთავაზობს.

MILLAB.GE
ხოკერა | Millab.ge

2022 წელს მედიის განვითარების ფონდმა მედიაწიგნიერებით დაინტერესებულ ახალგაზრდებს კიდევ ერთი ახალი თამაში – **კიბერ ხოკერა** (Cyber Snake) შესთავაზა. პოპულარული თამაშის ადაპტირების იდეა „ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლის“ 2020 წლის კონკურსის მონაწილე გუნდს ეკუთვნის ქ. გორის მე-12 საჯარო სკოლიდან. თამაში, რომელიც მედიის განვითარების სხვადასხვა ეტაპის შესახებ მონაწილის ცოდნის შემოწმებას ახდენს, მედიის განვითარების ფონდმა მოამზადა.

5. მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლება

5.1. მედიაწიგნიერების ფორუმი 2022

იუნესკოს გლობალური მედია და ინფორმაციული წიგნიერების კვირეულის ფარგლებში მედიის განვითარების ფონდმა თბილისში ყოველწლიური მედიაწიგნიერების **ფორუმი** გამართა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობით და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით გამართულ ორდღიან ფორუმზე ახალგაზრდები სხვადასხვა აქტივობებში, მათ შორის ფაქტების გადამოწმების, გეოლოკაციის, კოდირებისა და დიზაინის სემინარებში ჩაერთნენ. მონაწილეებს ასევე მედიის განვითარების ფონდის ონლაინ თამაშებში შეჯიბრის შესაძლებლობა ჰქონდათ.

ფორუმზე მოწვეული იყო სპეციალური სტუმარი, **"The Bad News Game"**-ის წარმომადგენელი ლიზა პოოტი, რომელიც მონაწილეებს არაერთი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელ თამაშზე და გემიფიკაციის პროცესზე ესაუბრა. თამაში ინოვაციურ ფსიქოლოგიურ-შემეცნებით მიდგომას ეფუძნება და მოქმედებს პრევენციულად – ის მონაწილეებს ერთგვარი „მენტალური ანტისხეულების" გამოსამუშავებლად ყალბი ამბების გამავრცელებელი ბოროტი გენიოსის როლის მორგებას სთავაზობს.

ღონისძიებას დისტანციურად შეუერთდა ტომ ბონსუნდი ო'ბრაიანი – Meta-ს მცდარი ინფორმაციის პოლიტიკის ხელმძღვანელი აფრიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის რეგიონებისთვის. მან ისაუბრა იმ ზომების შესახებ, რითაც Meta Facebook-ზე მცდარი ინფორმაციის გავრცელებას უპირისპირდება.

ფორუმზე ტრადიციულად ყველაზე მედიაწიგნიერი ახალგაზრდა გამოვლინდა და 2022 წელს ეს ტიტული ნუცა ძანძავამ მოიპოვა. მე-2 საპრიზო ადგილი ანასტასია ცალუღელაშვილმა დაიკავა ხოლო მესამე ადგილისთვის ჯილდო ბორენა ტურაშვილს გადაეცა.

5.2. ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა 2022

ნატოს სახალხო დიპლომატიის მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მედიის განვითარების ფონდმა ყველაზე მედიაწიგნიერი სკოლა გამოავლინა. კონკურსში, რომელშიც 65 სკოლიდან 75 გუნდი მონაწილეობდა, 4 გამარჯვებული გამოვლინდა.

პირველი ადგილი ევროპული სკოლის ორმა გუნდმა – "SmartOwl2023" და „სიმართლის მაძიებლები" – გადაინაწილა. „სიმართლის მაძიებლების" პროექტის მიზანია, სამაგიდო თამაშის შექმნა, რომლის საშუალებით მოსწავლეები წყაროს სანდოობის დადგენას ისწავლიან. "SmartOwl2023" კი საგანმანათლებლო თამაშის შექმნას გეგმავს, რომლის მიზანია მოსწავლეებს მედია და ინფორმაციული წიგნიერების უნარები განუვითაროს.

მეორე ადგილი
ჯემალ ქათამაძის სახელობის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის გუნდმა – „ოპიზა" – დაიკავა!
გუნდს სურს სკოლაში მედიაწიგნიერების პოპულარიზაციას შეუწყოს ხელი და მათი პროექტის დახმარებით, მოსწავლეებმა ყალბი და რეალური ინფორმაციის გამიჯვნა შეძლონ.

მესამე ადგილი
თბილისის სკოლა აკადემოსის გუნდმა „აკადემოსი" დაიკავა!
გუნდს სურს სკოლაში სიძულვილის ენის საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას შეუწყოს ხელი და საპროექტო იდეაც ამ თემას შეეხებოდა.

5.3. საინფორმაციო კამპანიები

მედიაწიგნიერებაზე ცნობიერების ამაღლების მიზნით MDF-მა 2022 წლეს 3 სოციალური კლიპი მოამზადა (ხელმისაწვდომია აქ – 1, 2, 3), რომლებიც კამპანიის ფარგლებში ნაციონალური არხებითა და სოციალური მედიით გავრცელდა. ვიდეოები უკრაინაში რუსეთის ინტერვენციის თანმხლები დეზინფორმაციის იდენტიფიცირების ინსტრუმენტებს და გენდერულ დეზინფორმაციას შეეხებოდა და „სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის“ პროგრამის ფარგლებში WECF Georgia-თან პარტნიორობით მომზადდა.



#FACEBOOK VS FAKEBOOK

მედიის განვითარების ფონდმა PalitraVideo.ge-ის მაყურებლებისა და „მითების დეტექტორის“ ფეისბუქ-გვერდის გამომწერებისთვის ახალი მინი-სერიალი შექმნა.

„ფეისბუქი VS FAKEბუქის“ მაყურებლებს ტელეწამყვანები ბაია დვალიშვილი და სანდრო გაბისონია საინფორმაციო ლაბირინთებში უსაფრთხო ნავიგაციაში ეხმარებოდნენ. პროექტს MDF აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და Zinc Network-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა და 2022 წელს 7 სერია მომზადდა.



ჟურნალისტების წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიის და ყალბი ინფორმაციის გამოვლენა

მედიის განვითარების ფონდი ჟურნალისტების წინააღმდეგ კიბერ სივრცეში მიმდინარე თავდასხმებსა და მიზანმიმართულ დისკრედიტაციის კამპანიებს სისტემატურად იკვლევს. 2022 წელს ჩვენ გამოვავლინეთ არაერთი ყალბი პროფილი და ანონიმური გვერდის მიერ წარმოებული დისკრედიტაციის კამპანია, რომელიც ჟურნალისტთა პროფესიულ საქმიანობას უკავშირდებოდა და როგორც სახელისუფლებო ანგარიშების, ასევე ანტილიბერალური ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან მომდინარეობდა:

- სახელისუფლებო ტროლები, ანონიმური და ანტილიბერალური გვერდები ნიკა გვარამიას წინააღმდეგ

- ძალადობრივი ჯგუფების ანატომია – 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან

ტრენინგები ჟურნალისტებისთვის

„ქალები საერთო მომავლისთვის (WECF) – საქართველოსთან“ პარტნიორობით, პროექტის: „ქალები და მათი უფლებები: ეთიკური მედია კავკასიაში“ ფარგლებში, ჟურნალისტებისთვის გენდერის საკითხების ეთიკურ გაშუქებასა და გენდერული დეზინფორმაციის გადამოწმებაზე 2-დღიანი ტრენინგი გავმართეთ. ტრენინგის ფარგლებში ჟურნალისტებთან ვისაუბრეთ სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორებზე, საზიანო ინფორმაციის ტიპოლოგიასა და სასარგებლო რესურსებზე, რომლებიც მათ ინფორმაციის გადა-მოწმებაში დაეხმარებათ.



გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის გენდერული დეზინფორმაციისა და გენდერულად მგრძნობიარე გაშუქების შესახებ

2022 წელს მედიის განვითარების ფონდმა მოამზადა გზამკვლევი ჟურნალისტებისთვის იმ ძირითად ნაშრომებზე დაყრდნობით, რომელთა ავტორებმაც გენდერული დეზინფორმაცია და მისი გავლენა შეისწავლეს და სიღრმისეულად განმარტეს ის საფრთხეები, რომელთაც ეს ფენომენი უქმნის ქალებს, დემოკრატიას და ეროვნულ უსაფრთხოებას მთელ მსოფლიოსა და საქართველოში. გზამკვლევში ასევე გადმოცემულია სამი ქალი ჟურნალისტის ისტორია, რომელიც კარგად აჩვენებს, თუ რისი გადატანა უხდებათ პრინციპულ პროფესიონალებს სხვადასხვა ქვეყანაში გენდერული დეზინფორმაციის ნიაღვართან დაპირისპირებისას.

IV. საერთაშორისო თანამშრომლობა

მედიის განვითარების ფონდი არაერთ საერთაშორისო ფორმატში თანამშრომლობს. ჩვენ UNESCO-ის მედია და ინფორმაციული წიგნიერების ალიანსის საერთაშორისო ხელმძღვანელი კომიტეტის (ISC) **წევრი** გავხდით, ამასთანავე დოიჩე ველე აკადემიის მედია და და ინფორმაციული წიგნიერების ქსელის **(MILEN), ღია ინფორმაციული პარტნიორობის (OIP)** წევრი, პოინტერის ინსტიტუტის საერთაშორისო ფაქტების გადამოწმების ქსელის (IFCN) **ვერიფიცირებული ხელმომწერი** ვართ. 2020 წლიდან ჩვენ კომპანია Meta-სთან **Facebook-ის მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამის** ფარგლებში ვთანამშრომლობთ, ასევე ვპარტნიორობთან EUvsDisinfo-სთან, რომელიც ევროპის საგარეო სამოქმედო სამსახურის (EEAS) East StratCom სამუშაო ჯგუფის პროექტია. 2022 წელს აქტიური თანამშრომლობა გავაგრძელეთ ამერიკულ ორგანიზაცია The Critical Mass-თან და UNICEF-თან.

უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის დროს აქტიურად ჩავერთეთ ესპანური ორგანიზაცია Maldita-ს ინიციატივაში, რომელიც სპეციალურად შექმნილ მონაცემთა ბაზაში #UkraineFacts სხვადასხვა ქვეყნებში ომის თემაზე გავრცელებული დეზინფორმაციის გაზიარებას ისახავდა მიზნად.



EASTERN PARTNERSHIP YOUTH CONFERENCE
YOUTH FOR REVITALISATION OF DEMOCRACY
11 - 12 JULY 2022
PRAGUE
#REVIVEDEMOCRACY
Funded by the European Union
EaP Eastern Partnership
EUROPEAN YEAR OF YOUTH


TAMAR
USE OF PROXIES OR INFLUENCERS
MAKES DISINFO HARDER TO SPOT
EXAMPLE EG.
ALEXANDER DUGIN BOT NETWORK IS PRO GEORGIAN NATIONHOOD
DESTABILISING CIVIL SOCIETY
MOSCOW
OR SHIFTING CONTEXT OF AN UNCONNECTED EVENT
EXAMPLE IT'S JUST LIKE THE SIEGE OF VIENNA 1683
USE OF RELIGION AS A MOTIVATOR
DEFLECTIVE SOURCE MODEL
DISCOVER THE TRUTH YOURSELF!
MANIPULATION OF HISTORY
REMEDIES
MEDIA LITERACY
FACT CHECK
AI
SHARING CONTENT ACROSS NON GEORGIAN NETWORKS
2019 ESTB.
JIHAD
REQUESTING "OPEN PUBLIC INFO" FROM GOVT
LOCAL
REGIONAL
INTL
GEORGIA/MOLDOVA
MEMBER INTL FACTCHECKING NETWORK
ANTI WESTERN NARRATIVES
INTL VALUES OR HUMAN RIGHTS VS NATIONAL VALUES
INTERFERENCE IN FOREIGN AFFAIRS

#BNMF 2022
REUNION
Brave New Media Forum
E | 2022



საერთაშორისო და რეგიონული ღონისძიებები:

- „დეზინფორმაციის წინააღმდეგ მედეგობის მშენებლობა“ – European External Action Service (EEAS)
- „ინფორმაციული ომი საზღვრებთან არ სრულდება“ – მრგვალი მაგიდა გერმანიის განვითარების მინისტრთან საქართველოში
- Global Fact 9 – ფატების გადამოწმების საერთაშორისო ქსელი (IFCN)
- „მედია ომის პერიოდში“ – ევროპის საბჭო (CoE)
- InternetCA-2022 – ცენტრალური აზიის ფორუმი
- საქართველოს ინტერნეტმმართველობის ფორუმი – GeoIGF 2022
- „მედია და ომი“
- რეგიონული კონფერენცია: გენდერული დეზინფორმაცია და ეთიკური მედიაგაშუქება – Wesf Georgia.
- Brave New Media Forum 2022
- აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-4 ახალგაზრდული კონფერენცია
- მედია და ინფორმაციული წიგნიერების ტრენინგი მოლდოველი ჟურნალისტებისთვის და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის – Stopfals.md

მედიის განვითარების ფონდი და მითების დეტექტორი წამყვან საერთაშორისო გამოცემებში, 2022

- The Washington Post:
  „უკრაინაში Facebook-ის ფაქტების ანალიტიკოსები ორ ფრონტზე იბრძვიან“
- Poynter:
  „მითების დეტექტორმა მის სამუშაო ენების ვრცელ რეპერტუარს რუსული დაამატა“
- Poynter:
  Global Fact 9 ჯილდო „ყველაზე კრეატიული ფორმატისთვის“
- France24:
  „უკრაინაში მიმდინარე ომი საქართველოში რუსული აგრესიის შიშ ანახლებს“
- France24:
  უკრაინული არმიის რეკრუტირებასთან დაკავშირებით ჰომოფობიური ყალბი ამბავი ვრცელდება
- Deutsche Welle:
  „ინფორმაციული ომი საზღვრებთან არ სრულდება“ – მრგვალი მაგიდა გერმანიის განვითარების მინისტრთან საქართველოში | მედია და კონფლიქტი | DW | 01.07.2022
- Al Jazeera:
  „ჩვენ არ ვართ ჩვენი მთავრობა“: ქართველები უკრაინის ომზე მთავრობის რეაქციას აპროტესტებენ
- Poynter:
  საქართველოში ფაქტების ანალიტიკოსები მმართველი პარტიის სამიზნეებად იქცნენ
- The Diplomatic Insight:
  UNICEF და USAID საქართველოში მედიაწიგნიერების პოპულარიზებას ახდენენ
- The Insider:
  „ძველი ფეიკის ახალი სიცოცხლე ზელენსკის გრაფიტის შესახებ: ამჯერად პარიზში და რუსულ პირველ არხზე“
- Its All Journalism:
  მცდარი ინფორმაციის შესაჩერებლად, მითების დეტექტორი ახალ ამბებს ამოწმებს
- Lead Stories:
  არ არსებობს მტკიცებულება, რომ გრაფიტი ზელენსკის გამოსახულებით, სადაც იგი ფულს ჭამს, პარიზში გამოჩნდა | Lead Stories
- EU Fact Checking Project:
  ევროპული მედიაწიგნიერების კვირა: EFCSN ევროპის ფაქტების გადამმოწმებელთა საზოგადოების ინიციატივებს წარადგენს

V. დონორები და პარტნიორები

ორგანიზაციის მთლიანმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 825,988.21 €, საიდანაც საგრანტო შემოსავალი იყო 25.33 %, ხოლო 74.67 % – შემოსავალი სხვა კონტრაქტებიდან.

დაფინანსების წყაროები (ევრო)



- WECF GERMANY (GENDER)
- BALTIC CENTRE FOR MEDIA EXCELLENCE
- FACEBOOK (META)
- UNAG
- INDEPENDENT INSTITUTE OF SOCIO-ECONOMIC AND POLITICAL STUDIES (VIESOJI)
- US EMBASSY
- INTERNEWS
- UNICEF
- DEUTSCHE WELLE
- ESN (EUROPEAN SERV.NETWORK)
- HEDAYAH
- NATO
- THE POYNTER INSTITUTE FOR MEDIA

დაფინანსების წყარო, 2022	პროექტის დასახელება	თანხის ოდენობა (EUR)
WECF Germany (GENDER)	„ქალები და მათი უფლებები: ეთიკური მედია კავკასიაში“	€ 29,085.40
Baltic Centre for Media Excellence	„მედიაწიგნიერების სექტორის კვლევა საქართველოში“	€ 1,750.00
Facebook (META)	მესამე მხარის ფაქტების გადამოწმების პროგრამა	€ 596,926.16
UNAG (United Nations Association Georgia) Independent Institute of	სამოქალაქო და ეკონომიკური ინტეგრაციის პროგრამა „ყოფილი საბჭოთა კავშირის	€ 26,445.71
Socio-Economic and Political Studies (VIESOJI)	ქვეყნებში რუსული დეზინფორმაციისა და პროპაგანდისტული კამპანიის შინაარსის მონიტორინგი და ეფექტურობის გაზომვა“	€ 4,929.60
US EMBASSY	მედია მომხმარებელთა კრიტიკული აზროვნების განვითარება, ხარისხიანი მედიის მანიპულირებისგან განსხვავებისთვის საჭირო უნარების გაღრმავება.	€ 62,144.24
INTERNEWS	უმცირესობების ენებზე არსებული მედიების სოციალური პლატფორმების მონიტორინგი კონფლიქტების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე	€ 3,135.97
UNICEF	„მედიაწიგნიერებით ახალგაზრდების შესაძლებლობების გაძლიერება COVID-19-ზე დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.“	€ 56,270.65
DEUTSCHE WELLE	„მედია და ინფორმაციული წიგნიერება მოქალაქეთათვის.“	€ 13,993.32
ESN (EUROPEAN SERV.NETWORK)	მითების დეტექტორი – დეზინფორმაცია/მედია მონიტორინგი	€ 19,847.50
HEDAYAH	ნარატივების რადიკალიზაციის პრევენცია და მათზე რეაგირება	€ 2,732.59
NATO	„მედიაწიგნიერი სკოლები საზოგადოების მედეგობისთვის საქართველოში“	€ 4,000.00
THE POYNTER INSTITUTE for Media	Global Fact 9-ის ჯილდო	€ 4,727.07
ჯამი		€ 825,988.21

VI. სამომავლო გეგმები

მედიის განვითარების ფონდი 2023 წელს გეგმავს გააგრძელებს მუშაობა შემდეგი მიმართულებით:

- გავხადოთ ჩვენი მედიაწიგნიერების და ფაქტების გადამოწმების პროგრამები რეგიონული;
- გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება მეზობელი ქვეყნების და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების პროფესიულ წრეებს;
- გავაფართოოთ სამიზნე აუდიტორიები და მოვიცვათ ყველა მოწყვლადი ჯგუფი;
- ხელი შევუწყოთ მედიის პროფესიულ განვითარებას;
- ვიმუშაოთ ჟურნალისტთა მიმართ ონლაინ ძალადობის იდენტიფიცირების, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით;
- ხელი შევუწყოთ მედიაში პროფესიული სტანდარტების გაუმჯობესებას და მედიის ანგარიშვალდებულებას;
- ხელი შევუწყოთ პროფესიული ლიტერატურის თარგმნას და საუკეთესო დასავლური გამოცდილების გაზიარებას;
- ხელი შევუწყოთ ინფორმაციის სანდოობის გაზრდას და ინფორმირებული მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას დემოკრატიის პროცესში.

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.MILLAB.GE

WWW.MDFGEORGIA.GE

WWW.MYTHDETECTOR.GE

WWW.MILLAB.GE